KA040145810530520

საქართველო, თბილისი, 0114, ინგოროყვას ქ. №7; ტელ.: (+995 32) 2 19 27 27; ელ–ფოსტა: info@csb.gov.ge; www.csb.gov.ge

№ g4520 **13 / ივლისი / 2020 წ.**

მოქალაქე ნიკოლოზ ნიკოლაძეს
მის.: [redacted]
პ/ნ: [redacted]
მობ.: [redacted]
ელ.ფოსტა: [redacted]

ბატონო ნიკოლოზ,

სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურომ განიხილა თქვენი წერილები (10/01/2020, 11/02/2020, 13/03/2020, 08/06/2020, 11/06/2020) და კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში, მოგახსენებთ შემდეგს:

„საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის „ე" ქვეპუნქტის თანახმად, ბიურო შეისწავლის და განაზოგადებს მოხელეთა შეფასების პრაქტიკას და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს. „პროფესიული საჯარო მოხელის შეფასების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 აპრილის N220 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე, ბიურო უფლებამოსილია, სრულად ან შერჩევითად გამოითხოვოს შეფასების პროცესთან დაკავშირებული ზეპირი ან/და წერილობითი ინფორმაცია. აღნიშნული ინფორმაციის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ განზოგადებულად, შეფასების პროცესის შემდგომი გაუმჯობესებისა და საჯარო სამსახურში ერთიანი პრაქტიკის დანერგვის მიზნით.

თქვენი არაერთი მომართვის საფუძველზე ბიურომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროდან გამოითხოვა ინფორმაცია მოხელეთა შეფასების საკითხებთან დაკავშირებით, დეტალურად შეისწავლა, გააანალიზა სამინისტროს მიერ 2020 წლის 12 თებერვლის N01/5010 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მიიჩნევს, რომ „დიპლომატიურ სამსახურში პროფესიული საჯარო მოხელის შეფასების წესი" სრულად შეესაბამება მოხელის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებისათვის კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს, წარმოდგენილი შეფასების წესი ნათლად განსაზღვრავს შეფასების პროცედურას და მკაფიოდ აღწერს შეფასების ძირითად კომპონენტებს. სამინისტროს შეფასების წესი ითვალისწინებს უშუალო ხელმძღვანელის მხრიდან მოხელის მიერ შესრულებულ სამუშაოზე სისტემატურ დაკვირვებას, უკუკავშირს და დოკუმენტური მასალის შეგროვებას. ასევე, განსაზღვრავს მოხელის საკუთარი საქმიანობის შედეგების აღწერის და თვითშეფასების ფორმის შევსების ვალდებულებას. შეფასების წესით განსაზღვრულია, როგორც დოკუმენტური მასალის შეფასების, ისე მოხელესთან გასაუბრების პროცედურებიც, რაც სრულ თანხვედრაშია „პროფესიული საჯარო მოხელის შეფასების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის N220 დადგენილებით გათვალისწინებულ რეგულაციებთან.

სამინისტროს მიერ წარმოდგენილი შეფასების წესით განსაზღვრული შინაარსობრივი და პროცედურული ასპექტების გაანალიზების საფუძველზე, ბიურო მიიჩნევს, რომ შეფასების წესი მორგებულია სამინისტროს სპეციფიკას და შეფასების პროცესში ჩართული სუბიექტების მიერ ზემოაღნიშნული რეგულაციებისა და ვალდებულებების ზედმიწევნით შესრულების შემთხვევაში, შეფასების პროცესის მიუკერძოებლად მიმდინარეობის წინაპირობას წარმოადგენს.

[redacted]

[redacted]

აქვე, გაცნობებთ, რომ სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ გამოთქმული მოსაზრებები, შენიშვნები და წინადადებები სარეკომენდაციო ხასიათისაა.

პატივისცემით,

ბიუროს უფროსი

ხელმოწერილია/
მტამპდასმულია
ელექტრონულად

ეკატერინე ქარდავა